



შპს გლასკო (ს/კ 400146917)

ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრის
დასრულებული წლისთვის

დირექტორი: მ.კონცელიძე
მთ.ბუღალტერი: ო.ადამია

Two handwritten signatures in blue ink, one on the left and one on the right, likely belonging to the Director and Chief Accountant respectively.





შინაარსი:

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	გვ.3
სრული შემოსავლის ანგარიშგება და მოგება-ზარალის ანგარიშგება	გვ.4
ანგარიში კაპიტალში ცვლილებების შესახებ	გვ.5
ფულადი სახსრების მოძრაობა	გვ.6
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	გვ.7

დირექტორი: მ.კონცელიძე
მთ.ბუღალტერი: ო.ადამია

Two handwritten signatures in blue ink, one above the other, likely belonging to the Director and the Chief Accountant.





ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგეგმვა				31.12.2020	31.12.2019
აქტივები					
მიმდინარე აქტივები					
ფული და ფულის ექვივალენტები	4			122 730	38 148
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	5			1 396 560	1 083 322
სასაქონლო მატერიალური მარაგები	6			1 716 122	2 105 039
საგადასახადო აქტივი				290 630	326 116
სულ მოკლევადიანი მოთხოვნები				3 526 042	3 552 625
გრელვადიანი აქტივები					
ძირითადი საშუალებები	7			1 297 573	305 299
არამატერიალური აქტივები	8			3 378	3 974
სულ გრელვადიანი აქტივები				1 300 951	309 273
სულ აქტივები				4 826 993	3 861 898
კაპიტალი და ვალდებულებები					
მიმდინარე ვალდებულებები					
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	9			2 220 966	2 040 390
სულ მიმდინარე ვალდებულებები				2 220 966	2 040 390
გრელვადიანი ვალდებულებები					
გრელვადიანი სესხი				1 037 275	736 989
საკუთარი კაპიტალი					
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი				1 568 752	1 084 519
სულ საკუთარი კაპიტალი				1 708 252	1 084 519
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები				4 826 993	3 861 898

დირექტორი: მ.კონცელიძე
მთ.ბუღალტერი: ო.ადამია





სრული შემოსავლისა და მოგება-ზარალის ანგარიშგება					შენიშვნები	31.12.2020	31.12.2019
ამონაგები						2826784	3532082
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება						(1440533)	(1770248)
საერთო მოგება						1386251	1761834
სხვა შემოსულობა				10		0	0
დასაქმებულთა ანაზღაურება						(365609)	(488976)
იჯარის ხარჯი						(46250)	(49250)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი				11		(181403)	(186486)
ცვეთის ხარჯი						(72793)	(23847)
სხვა საოპერაციო ხარჯი						0	0
სულ საოპერაციო ხარჯები						(666055)	(748559)
საოპერაციო მოგება						720196	1013275
არასაოპერაციო შემოსავალი				12		29717	0
არასაოპერაციო ხარჯი				13		(265680)	(9249)
მოგება დაბეგვრამდე						484233	1004026
მოგების გადასახადი						0	0
მოგება/(ზარალი)						484233	1004026
სხვა სრული შემოსავალი							0
წლის მთლიანი სრული შემოსავალი						484233	1004026

დირექტორი: მ.კონცელიძე
მთ.ბუღალტერი: ო.აღამია





ანგარიში კაპიტალში ცვლილებების შესახებ 2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის		
	დამფუძნელის კაპიტალი	გაუქმებული მოგება
1 იანვარი 2019წ		284113
ცვლილებები კაპიტალში		0
გაცემული დივიდენდები		(203400)
სხვა ცვლილებები გაუქმებულ მოგებაში		(220)
მიმდინარე წლის მოგება/ზარალი		1004026
31 დეკემბერი 2019 წ		1084519
ცვლილებები კაპიტალში		0
გაცემული დივიდენდები		0
მიმდინარე წლის მოგება/ზარალი		484233
31 დეკემბერი 2020 წ		1568752

დირექტორი: მ.კონცელიძე
მთ.ბუღალტერი: ო.ადამია





ფულადი სახსრების მოძრაობა						2020	2019
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან						84582	(8864)
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან							
წმინდა ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან							
წმინდა ზრდა(კლება) ფულსა და ფულის ექვივალენტში						84582	(8864)
სავალუტო კურსის ეფექტი							
ფული და ფულის ექვივალენტი წლის დასაწყისში						38148	47012
ფული და ფულის ექვივალენტი წლის ბოლოს						122730	38148

დირექტორი: მ.კონცელიძე
მთ.ბუღალტერი: ო.ადამია





სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

1. ზოგადი ინფორმაცია

კომპანია გლასკო შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიაა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში. კომპანიის იურიდიული მისამართი არის ქ.თბილისი, გ.სააკაძის 118, საქმიანობის ძირითადი ადგილი არის ქ.თბილისი, ხოშარაულის 29ა. მისი ძირითადი საქმიანობაა პლასტმასის სამშენებლო ნაკეთობების წარმოება.

2. მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად. იგი წარმოდგენილია საქართველოს ფულად ერთეულში (ლარი), რომელიც წარმოადგენს კომპანიის სამუშაო ვალუტას.

მსს ფასს სტანდარტის მიხედვით ფინანსური ანგარიშგების წარდგენა მოითხოვს სამეურნეო ოპერაციებისათვის და მოვლენებისათვის სააღრიცხვო პოლიტიკის შერჩევასა და თანმიმდევრულ გამოყენებას. ჯგუფის ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა განსაზღვრულია მე-3 განმარტებით შენიშვნაში.

სააღრიცხვო პოლიტიკა

- ფული და ფულის ექვივალენტები ფული და ფულის ექვივალენტები არის აქტივები, რომლებიც იოლად კონვერტირებადია ფულად სახსრებში და ატარებს ღირებულების ცვლილებების უმნიშვნელო რისკს. ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ფულს სალაროში და ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე.
- წარმოდგენილი ანგარიშის ვალუტა კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტალარი (GEL). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში თავდაპირველად ჩაიწერება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. ანგარიშის პერიოდისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადაფასდება ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ

დირექტორი: მ.კონცელიძე

მთ.ბუღალტერი: ო.აღამია





დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალზე.

- ამონაგები

ამონაგები ფასდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, ფასდათმობების და გაყიდვასთან დაკავშირებული გადასახადების გარეშე. გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგები აღიარდება, როდესაც საქონელი მიწოდებულია მომხმარებლისთვის და შესრულებულია მასთან დაკავშირებული ნებისმიერი დამონტაჟების სამუშაო.

- ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები არის მატერიალური აქტივები, რომლებიც:

ა) იმყოფება საწარმოს განკარგულებაში და გამოიყენება საქონლის წარმოებაში, საქონლის ან მომსახურების მისაწოდებლად, იჯარით გასაცემად ან ადმინისტრაციული მიზნებისთვის; და

ბ) გათვალისწინებულია ერთ საანგარიშგებო პერიოდზე მეტი ხნით გამოსაყენებლად.

ძირითადი საშუალების ერთეულების შეფასება ხდება შემდეგნაირად: თვითღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და დაგროვილი გაუფასურების ზარალი. ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდის გამოყენებით, აქტივის ნარჩენი ღირებულებით შემცირებული თვითღირებულების მის სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე განაწილების მიზნით. თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

მიწას აქვს სასარგებლო მომსახურების განუსაზღვრელი ვადა და შესაბამისად, მას ცვეთა არ ერიცხება. ძირითადი საშუალების სხვა ერთეულების წინასწარ შეფასებული სასარგებლო მომსახურების ვადებია:

მომსახურების ვადა(წელი)	
☐ მიწა	არ იცვითება
☐ მანქანა-დანადგარები	5 წელი
☐ სატრანსპორტო	8 წელი
☐ საშუალებები ოფისის	5 წელი
☐ აღჭურვილობა ავეჯი და ინვენტარი	5 წელი

დირექტორი: მ.კონცელიძე
მთ.ბუღალტერი: ო.აღამია





მიწა და შენობა-ნაგებობები განცალკევებადი აქტივებია, ამიტომ საწარმომ ისინი ცალცალკე უნდა აღრიცხოს მაშინაც კი, თუ ისინი ერთად არის შეძენილი.

ძირითადი საშუალების თვითღირებულება მოიცავს ქვემოთ ჩამოთვლილ ყველა ელემენტს:

(ა) მისი ნასყიდობის ფასს, მათ შორის, იურიდიული და საბროკერო მომსახურების ღირებულებას, საიმპორტო საბაჟო გადასახადებსა და

შესყიდვის დაუბრუნებად გადასახადებს, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობებისა და შეღავათების გარეშე;

(ბ) ნებისმიერ დანახარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან, რაც აუცილებელია აქტივის გამოსაყენებლად ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნებისათვის; ეს დანახარჯები შეიძლება მოიცავდეს აქტივისთვის ადგილის მომზადების დანახარჯებს, აქტივის ადგილზე მიტანისა და ჩატვირთვა/გადმოტვირთვის დანახარჯებს, მონტაჟისა და აწყობის დანახარჯებს, ასევე მისი ფუნქციური შესაძლებლობების ტესტირების დანახარჯებს;

(გ) აქტივის დემონტაჟის, ლიკვიდაციისა და ადგილმდებარეობის აღდგენის დანახარჯების თავდაპირველ შეფასებას, რის ვალდებულებასაც საწარმო იღებს შეძენის მომენტში, ან შემდეგში, როდესაც გარკვეული დროის განმავლობაში საწარმო აქტივს იყენებს სხვა მიზნებისთვის, რაც დაკავშირებული არ არის მოცემულ პერიოდში მარაგის წარმოებასთან.

ძირითადი საშუალებების თვითღირებულებაში არ ჩაირთვება შემდეგი სახის დანახარჯები და საწარმომ ისინი უნდა აღიაროს ხარჯად მათი გაწევისთანავე: ა) ახლი სიმძლავრეების ათვისების დანახარჯები;

ბ) ახალი პროდუქციისა და მომსახურების ათვისების დანახარჯები (სარეკლამო საქმიანობის დანახარჯების ჩათვლით);

გ) ახალ ადგილზე ან მომხმარებელთა ახალ კლასთან ბიზნესის წარმოების დანახარჯები (პერსონალის სწავლების ჩათვლით);

დ) ადმინისტრაციული და სხვა საერთო ზედნადები დანახარჯები; და

ე) ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები (იხ. 25-ე განყოფილება - „ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები“).

ძირითადი საშუალებების შექმნასთან ან მოდერნიზაციასთან დაკავშირებულია ზოგიერთი სახის არაარსებითი საქმიანობა, რომელიც აუცილებელი არ არის აქტივის დანიშნულების ადგილზე მისატანად, ან მის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად. ასეთ დამხმარე ოპერაციებთან/საქმიანობასთან დაკავშირებული შემოსავლები და ხარჯები აღიარდება მოგებაში ან ზარალში. ძირითადი საშუალებების

დირექტორი: მ.კონცელიძე

მთ.ბუღალტერი: ო.აღამია





შემადგენლობაში არ შედის ჩვეული საქმიანობის პროცესში გასაყიდად გამიზნული აქტივები, ამგვარი გაყიდვისათვის გამიზნული წარმოების პროცესში მონაწილე აქტივები და ნედლეულისა და მასალების სახით წარმოდგენილი აქტივები, რომლებიც განკუთვნილია წარმოების პროცესში მოხმარებისათვის ან მომსახურების გასაწევად. ასეთი აქტივები არის მარაგები (იხ. მე-13 განყოფილება - „მარაგები“).

არამატერიალური აქტივები ასევე არ შედის ძირითადი საშუალებების შემადგენლობაში. ისინი აღირიცხება მე-18 განყოფილების - “არამატერიალური აქტივები გუდვილის გარდა” გამოყენებით.

ისეთი ერთეულები, როგორიცაა სათადარიგო ნაწილები და დამხმარე მოწყობილობა აღიარდება ძირითად საშუალებად, როდესაც ისინი აკმაყოფილებენ ძირითადი საშუალებების განმარტებას. მაგალითად, თუ ასეთი ერთეულების გამოყენება მოსალოდნელია ერთზე მეტი საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში კლასიფიცირდებიან ძირითად საშუალებებად. თუ ისინი ვერ დააკმაყოფილებენ ამ განმარტებას, მაშინ ისინი კლასიფიცირდებიან, როგორც მარაგები.

- არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები წარმოადგენს შემენილ კომპიუტერულ პროგრამულ უზრუნველყოფას, რომელიც ასახულია თვითღირებულებით, საიდანაც გამოკლებულია დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალი. მისი ამორტიზება ხდება წრფივი მეთოდით, აქტივის სასარგებლო მომსახურების შეფასებული ვადის განმავლობაში, რომელიც 7 წელს შეადგენს. თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ამორტიზაციის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ამორტიზაცია შესწორდება პერსპექტიულად.

- მარაგები

მარაგების შეფასება ხდება თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები. თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდის გამოყენებით.

- სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

ძირითადად გაყიდვები ხორციელდება სტანდარტული საკრედიტო პირობებით და მოთხოვნებს პროცენტი არ ერიცხება. იმ შემთხვევაში თუ საკრედიტო ვადა აღემატება სტანდარტულ საკრედიტო ვადას, მოთხოვნების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, სავაჭრო და სხვა მოთხოვნების

დირექტორი: მ.კონცელიძე

მთ.ბუღალტერი: ო.აღამია





საბალანსო ღირებულება უნდა გადაისინჯოს, რათა განისაზღვროს არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ მოთხოვნები არ არის ამოღებადი. იმ შემთხვევაში თუ ასეთი მტკიცებულება არსებობს, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

• **სავაჭრო ვალდებულებები**

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ვალდებულებებს, რომლებიც წარმოიქმნება სტანდარტული საკრედიტო პირობებით და ვალდებულებებს არ ერიცხება პროცენტი. უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

• **საოპერაციო (ჩვეულებრივი) იჯარის ვალდებულებები**

კომპანიას საოპერაციო (ჩვეულებრივი) იჯარით აღებული აქვს საოფისე ფართი.

	2020 წელი	2019 წელი
ჩვეულებრივი იჯარით გათვალისწინებული		
საიჯარო გადასახდელები რომელიც მიმდინარე წელს	46250	49250
აღიარებულია ხარჯად		

4. **ფული და ფულის ეკვივალენტი**

	31.12.2020	31.12.2019
ფული სალაროში ეროვნულ ვალუტაში	101422	37888
ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე ეროვნულ ვალუტაში	10916	260
ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე უცხოურ ვალუტაში	10392	0
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	122730	38148

კომპანიას საბანკო ანგარიშები გახსნილი აქვს ორ ბანკში, თიბისი ბანკსა და ხალიკ ბანკში.

5. **სავაჭრო და სხვა მოთხოვნები**

	31.12.2020	31.12.2019
სავაჭრო დებიტორული დავალიანებები	1396560	183322
მოთხოვნები მეკავშირე საწარმოს მიმართ	0	900000
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1396560	1083322

დირექტორი: მ.კონცელიძე

მთ.ბუღალტერი: ო.ადამია





--	--	--

6. სასაქონლო მატერიალური მარაგები

	31.12.2020	31.12.2019
საქონელი	94383	12226
ნედლეული და მასალები	1621739	2092813
სულ სასაქონლო მატერიალური მარაგები	1716122	2105039

7. ძირითადი საშუალებები

	წმინდა საბალანსო ღირებულება 2019 წლის 31 დეკემბერს	ძირითადი საშუალების შემოსვლა	ძირითადი საშუალების გასვლა	ცვეთის ხარჯი	წმინდა საბალანსო ღირებულება 2020 წლის 31 დეკემბერს
მიწა	96800	0	0	0	96800
მანქანა-დანადგარი	145093	26970	0	31761	140302
სატრანსპორტო საშუალება	39707	143636	0	34256	149087
ოფისის აღჭურვილობა	7559	6641	0	1963	12237
ავეჯი და ინვენტარი	16139	10504	0	3920	22723
დაუმთავრებელი მშენებლობა	0	874346	0	0	874346
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	0	2375	0	2970	2078
სულ ძირითადი საშუალებები	305299	1064472	0	72197	1297573

დირექტორი: მ.კონცელიძე
მთ.ბუღალტერი: ო.ადამია





8. არამატერიალური აქტივი

	წმინდა საბალანსო ღირებულება 2020 წლის 1 იანვარს	ძირითადი საშუალების შემოსვლა	ძირითადი საშუალების გასვლა	ცვეთის ხარჯი	წმინდასაბალანსო ღირებულება 2020 წლის 31 დეკემბერს
კომპიუტერული პროგრამა	3974	0	0	596	3378

9. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31.12.2020	31.12.2019
	ლარი	ლარი
სავაჭრო ვალდებულებები	160187	104034
მომწოდებლებისგან მიღებული ავანსები	2059482	1934688
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	1297	1668
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	2220966	2040390

11. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი

	31.12.2020
სატრანსპორტოსაშუალების ტექ.მომსახურება	8776
საწვავის ხარჯი	40324
ბანკის საკომისიო	4359
დაზღვევის ხარჯი	11547
კომუნალური	20534
მასალის დამუშავების ხარჯი	15112
საკომუნიკაციო მომსახურება	4993
ტრანსპორტირების ხარჯი	1930
ინვენტარი	18757
სხვადასხვა ხარჯი	55071
სულ ადმინისტრაციული და სხვა ხარჯი	181403

დირექტორი: მ.კონცელიძე

მთ.ბუღალტერი: ო.აღამია





12. არასაოპერაციო შემოსავალი

შემოსავალი სუბსიდირებით	24341
საკურსო მოგება	5376
საპროცენტოშემოსავალი	94500
სულ არასაოპერაციო შემოსავალი	124 217

13. არასაოპერაციო ზარალი

საპროცენტო ხარჯი(სესხის)	35191
საკურსო სხვაობა და გადაფასება	230489
სულ არასაოპერაციო ზარალი	265680

დირექტორი: მ.კონცელიძე
მთ.ბუღალტერი: ო.ადამია





დირექტორი: მ.კონცელიძე
მთ.ბუღალტერი: ო.ადამია